

სამართალი / LOW

ნუგზარ სარია

სამართლის დოქტორი, ზსუ ასოცირებული პროფესორი

ORCID 0000-0003-1897-5044

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი

ანოტაცია: ჩვენ ვსაუბრობთ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, საზოგადოების გააქტიურებაზე, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე, დემოკრატიულ პროცესებზე და ა.შ. მაგრამ თითქოსდა თავს ვარიდებთ იმ სირთულეებზე საუბარს, რაც ნაფიც მსაჯულთა საქმიანობას ეხება. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ეს სირთულეები და გავიაროთ გზა ნაფიც მსაჯულთა შერჩევიდან ვერდიქტის მიღებამდე. მიმაჩნია, რომ მიუხედავად სირთულეებისა, სხდომის თავმჯდომარის თანმიმდევრული, ადვილად გასაგები განმარტებების საფუძველზე ნაფიც მსაჯულებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ვერდიქტი თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, სხდომის თავმჯდომარის განმარტებები, ბრალდების შინაარსი, დანაშაულის ცნება და არსი.

Nugzar Saria

Doctor of Law, Associate Professor at ZSU

JURY VERDICT

ABSTRACT

We talk about the importance of institution of the Jury trial; making members of the society more active; protection of rights and freedoms guaranteed by the constitution; democratic processes, etc., but it seems that we are avoiding to talk about the difficulties concerning the work of jurors. Our goal is to demonstrate these difficulties and walk the same path from the selection of jurors till delivering the verdict. I believe that, despite the difficulties, on the basis of a consistent, easy understandable explanation from the judge, jurors are able to convict or acquit accused person on each charge brought.

Keywords: *Jury trial, Jury selection, Explanations of chairman of the session, verdict, Content of the charge, Concept and essence of the crime.*

2010 წლის ოქტომბრის თვიდან ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც საფუძველი დაუდო საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას. 2010-2011 წლებში ის მოქმედებდა მხოლოდ თბილისში, 2012 წლიდან ამოქმედდა ასევე ქუთაისში, ხოლო ამჟამად მოქმედებს თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებსა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონულ სასამართლოებში. სსსკ-ის 226-ე მუხლის საფუძველზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, თუ წარდგენილია ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (დამთავრებული) და 109-ე (დამთავრებული) მუხლებით, 117-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 ნაწილებით, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 1351 მუხლით, 143-ე მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით, 144-ე -1442 მუხლებით, 1443 მუხლის მე-2 ნაწილით, 146-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 147-ე და 149-ე მუხლებით, 197-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 229-ე მუხლით. ამასთან, ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს, რომ საქმე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე იქნეს განხილული. ამ შემთხვევაში საქმეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე განიხილავს.

ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტს იღებენ თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხთან დაკავშირებით, რაც უმთავრესია პირის მსჯავრდადებისას. ბრალეულობა კი გულისხმობს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას, რაც წმინდა სისხლისსამართლებრივი პროცესია და მოიცავს როგორც საკანონმდებლო დებულებებს, ასევე თეორიულ მასალას, პრეცედენტულ სამართალს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაფიცი მსაჯულები არაპროფესიონალი მოსამართლეები არიან, ანუ მათი შერჩევა ხდება რეგისტრირებული მოქალაქეებისგან და არავითარი შეხება არა აქვთ მართლმსაჯულების განხორციელებასთან, შეიძლება ვივარაუდოთ გარკვეული სირთულეები სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების გზაზე. ვსაუბრობთ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, საზოგადოების გააქტიურებაზე, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე, დემოკრატიულ პროცესებზე და ა.შ. მაგრამ თითქოსდა თავს ვარიდებთ იმ სირთულეებზე საუბარს, რაც ნაფიც მსაჯულთა საქმიანობას ეხება. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ეს სირთულეები და გავიაროთ გზა ნაფიც მსაჯულთა შერჩევიდან ვერდიქტის მიღებამდე.

თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე ვალდებულია ბრალდებულს განუმარტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და მასთან დაკავშირებული ბრალდებულის უფლებები. ამის შემდეგ მოსამართლე არკვევს, თანახმაა თუ არა ბრალდებული, რომ მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს. თუ ბრალდებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარს არ განაცხადებს, მოსამართლე ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღს. უპირველესად, მოქალაქეთა ერთიანი სიიდან შემთხვევითი შერჩევით განისაზღვრება ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სია 300 პირის შემადგენლობით. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე 50-ზე ნაკლები კანდიდატის გამოცხადებისას იწყება მსაჯულთა შერჩევის პროცედურა. თუ ამ სხდომაზე ვერ შეირჩა ყველა ნაფიცი მსა-

ჯული, სხდომა გადაიდება არაუმეტეს 10 დღით და დამატებით მოინვევა არაუმეტეს 300 კანდიდატი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის შესავსებად. აცილების შემდეგ დარჩენილ კანდიდატთაგან 12 ინიშნება ნაფიც მსაჯულად, ორი როგორც სათადარიგო მსაჯული. ამის შემდეგ იწყება საქმის არსებითი განხილვა.

სხდომის გახსნისას სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს აძლევს წერილობით განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. ხოლო სათათბირო ოთახში გასვლის წინ მათ მოკლედ განუმარტავს განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესს.

ჩვენთვის საინტერესოა მოსამართლის ეს განმარტებები, რომლის შინაარსი მოცემულია სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილში. კერძოდ, სხდომის თავმჯდომარე მსაჯულებს განუმარტავს ბრალდების შინაარსს და მის სამართლებრივ საფუძველს; ბრალდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხილი ქმედების ჩადენის დადასტურების აუცილებლობას, ამ ქმედების ობიექტური შემადგენლობის თითოეული ელემენტის არსებობის დამტკიცების ჩათვლით; განზრახვისა და გაუფრთხილებლობის არსა და მნიშვნელობას; მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხავ გარემოებებს; მტკიცებულებათა შეფასების ძირითად წესს; უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნებას, იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი გონივრული ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება, აგრეთვე გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის შინაარსს; რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ კანონს და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას უნდა ემყარებოდეს; ასევე განმარტებებში მითითებულია სხვ გარემოებებზეც. მათ შორის შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესაძლო ჩადენაზე. მოსამართლე არ არის შეზღუდული ამ ჩამონათვალით. ის უფლებამოსილია მისცეს განმარტებები სხვა გარემოებებზეც, რაც მას მნიშვნელოვნად მიაჩნია მოცემულ საქმეზე.

აშკარაა, რომ სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიცი მსაჯულებისთვის საკმაოდ ვრცელია და თითქმის, მოიცავს ყველაფერს დანაშაულთან დაკავშირებით, როგორც მატერიალური სამართლის, ასევე საპროცესო სამართლის ფუნდამენტურ საკითხებს. ფაქტობრივად, ეს მოკლე განმარტება შეიძლება ჩაითვალოს მოძღვრებად დანაშაულის შესახებ. შევეხოთ განმარტებაში მოცემულ საკითხებს.

თავდაპირველად განმარტებულია ბრალდების შინაარსი და მისი სამართლებრივი საფუძველი, რაც მოცემულია პროკურორის დადგენილებაში პირის ბრალდების შესახებ. აუცილებელია მსაჯულებს განემარტოთ პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველი. ესაა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა. დასაბუთებული ვარაუდი კი წარმოადგენს ყველაზე დაბალი ხარისხის მტკიცებულებით სტანდარტს, რომელიც გამოიყენება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადანწყვეტილების მისაღებად და ის საკმარისი არ არის საქმის არსებითი განხილვისას გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. რომ პროკურორის დადგენილება პირის ბრალდების შესახებ არ არის მტკიცებულება, ესაა მხოლოდ ბრალდების პოზიცია ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებით. აქვე მსაჯულებს დეტალურად განემარტება პირისათვის წარდგენი-

ლი ბრალდების შინაარსი და მისი სამართლებრივი საფუძველი, რაც გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კონკრეტული მუხლის ან მუხლების დისპოზიციის აღწერას და ქმედების ობიექტური თუ სუბიექტური შემადგენლობის ცალკეული ნიშნების განმარტებას.

აუცილებელია მსაჯულებს განემარტოთ დანაშაულის ცნება და არსი სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე, რომ ის სამი ნიშნისაგან შედგება: ქმედების შემადგენლობა გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას; მართლწინააღმდეგობა კულტურის ნორმებთან წინააღმდეგობას მოიცავს და ივარაუდება ქმედების შემადგენლობაში; ბრალი მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვაა ჩადენილი ქმედებისათვის. სამივე ნიშანი ერთობლიობაში ადასტურებს დანაშაულის არსებობას. თუნდაც ერთი ნიშნის არარსებობა გამორიცხავს დანაშაულს, მიუხედავად სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის დადასტურებისა.

შემდგომ განმარტებებში მითითებული უნდა იყოს ბრალდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხილი ქმედების ჩადენის დადასტურების აუცილებლობაზე, რაც ნიშნავს ქმედების ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო და ფაკულტატიური ნიშნების არსებობის დამტკიცებას. აქვე უნდა განიმარტოს სავალდებულო და ფაკულტატიური ნიშნების არსი, მნიშვნელობა. ქმედების ობიექტური შემადგენლობის დახასიათება იწყება სუბიექტით, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპეციალურ სუბიექტთან მიმართებაში. ობიექტთან დაკავშირებით კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ქმედების შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია ქმედების ჩადენა, რაც შეიძლება გამოიხატოს მოქმედებაში ან უმოქმედობაში. უმოქმედობა შეიძლება იყოს წმინდა და შერეული. მოქმედება კი სისხლისსამართლებრივად რელევანტური უნდა იყოს და მოქმედების სოციალური ცნებიდან გამომდინარე გულისხმობს ადამიანის ნების ბატონობის ქვეშ მოქცეულ სოციალურად მნიშვნელოვან ქმედებას.

ქმედებით გამოწვეული შედეგი ე.წ. მატერიალურ შემადგენლობებში სავალდებულო ნიშანია და მისი დადგენა აუცილებელია. ხოლო ფორმალურ შემადგენლობებში შედეგის დადგენა არ არის საჭირო. შემდგომ მსაჯულმა უნდა იმსჯელოს მიზეზობრივ კავშირზე ქმედებასა და შედეგს შორის. მიზეზობრივი კავშირის დეფინიცია მოცემულია სსკ-ის მე-8 მუხლში ე.წ. პირობათა თეორიის გათვალისწინებით. მაგრამ პრაქტიკაში ასევე გამოიყენება მიზეზობრივი კავშირის ადეკვატურობისა და რელევანტურობის თეორიები. ადეკვატურობის თეორია ცდილობს შეზღუდოს პირობათა თეორიის ფართო ფარგლები. რელევანტურობის თეორიით პირობა ასევე სისხლისსამართლებრივად რელევანტური უნდა იყოს. რაც შეეხება მიზეზობრივი კავშირის სახეებს, არსებობს ალტერნატიული, კუმულაციური და ჰიპოთეზური მიზეზობრიობა. ისინი გავლენას ახდენენ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე.

მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდეგ შემოდის ობიექტური შერაცხვის კატეგორია, რაც გულისხმობს დამდგარი შედეგის პირისადმი ობიექტურად შერაცხვას. მაგრამ შესაძლებელია შემთხვევა, როდესაც პირს არ შეერაცხება ობიექტურად

დამდგარი შედეგი, მიუხედავად ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობისა. ობიექტური შერაცხვისას გამოიყენება ე.წ. რისკის თეორია, რომლის მიხედვით თუ პირმა შექმნა საფრთხის მდგომარეობა, რაც შედეგში იქნა რეალიზებული, მას ეს შედეგი ობიექტურად შეერაცხება. ატიპიური მიზეზობრიობის, დაზარალებულის პირადი პასუხისმგებლობით გამონწვეული თვითსაფრთხის, თვითმკვლელობაში აქტიური /პასიური/ თანამონაწილეობის დროს შედეგის ობიექტური შერაცხვა არ მოხდება. თეორიასა და პრაქტიკაში არსებობს მიზეზობრივი კავშირისა და შედეგის ობიექტური შერაცხვის სხვა პრობლემური შემთხვევებიც. (ტურავა, 2010, გვ. 240)

ობიექტური შემადგენლობის ფაკულტატიური ნიშნებია ქმედების ჩადენის დრო, ადგილი, საშუალება, ხერხი. თუ საკანონმდებლო შემადგენლობაში მოცემულია ფაკულტატიური ნიშანი, მისი დადგენა სავალდებულოა.

ნაფიცი მსაჯულები ზემოთ აღნიშნული ნიშნების დადასტურების შემთხვევაში დაადგენენ ქმედების ობიექტურ შემადგენლობას. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის დანაშაულის პირველი ნიშანი, ქმედების შემადგენლობა, სრულად. აუცილებელია ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაზე გადასვლა, რაც ქმედების შინაგანი, ფსიქიკური პროცესებია.

სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის არსსა და მნიშვნელობას. სსკ-ის მე-9 მუხლში ერთმანეთისაგან გამიჯნულია პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა. ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. ხოლო ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. მაშასადამე, განზრახვა სამი კომპონენტისაგან შედგება: 1. ინტელექტუალური; 2. ნებელობითი; 3. მართლწინააღმდეგობის შეგნება. პირველი ორი ელემენტი დგინდება სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე და აფუძნებს არაბოროტ განზრახვას. პირდაპირი განზრახვისას ნებელობითი კომპონენტი განსხვავებულადაა წარმოდგენილი, რის გამოც გვაქვს პირველი და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა. მაგრამ მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა ემსგავსება არაპირდაპირ განზრახვას. განსხვავებაა შედეგის განხორციელების გარდაუვალობასა და შედეგის შეგნებულად დაშვებაში. ინტელექტუალური ელემენტი გულისხმობს ქმედების ობიექტური გარემოებების ცოდნას და მათი სოციალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის გაცნობიერებას. ამასთან, აუცილებელია პირს განზრახვა ქმედების ჩადენისას გააჩნდეს. არსებობს ალტერნატიული, კუმულაციური და გენერალური განზრახვა, რაც გავლენას ახდენს კვალიფიკაციაზე.

სსკ-ის მე-10 მუხლის საფუძველზე ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. აღნიშნული

დეფინიციიდან გამომდინარე ევენტუალური განზრახვა ემსგავსება თვითიმედოვნებას. მათი ურთიერთგამიჯვნისათვის აუცილებელია ნებელობითი კრიტერიუმის გამოყენება. ხოლო ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა ნინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა, ამის გათვალისწინება მას ევალეზობდა და შეეძლო კიდევ. დაუდევრობას ასევე გაუცნობიერებელ ქმედებას უწოდებენ და ემსგავსება ე.წ. უბედურ შემთხვევას, რაც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სუბიექტურ შემადგენლობაში სხდომის თავმჯდომარემ უნდა განმარტოს ფაკულტატიური ნიშნები, ასევე ფაქტობრივი შეცდომის არსი და მნიშვნელობა. ფაკულტატიური ნიშნებიდან კვალიფიკაციისათვის შეიძლება გადამწყვეტი იყოს მიზანი, მოტივი. ფაქტობრივი შეცდომა კი შეიძლება ობიექტური შემადგენლობის ზოგიერთ ნიშნებთან იყოს დაკავშირებული და გავლენა მოახდინოს კვალიფიკაციაზე.

ქმედების შემადგენლობის დადასტურების შემთხვევაში სახეზეა დანაშაულის პირველი ნიშანი. მაგრამ ეს საკმარისი არ არის ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის. დანაშაულის მეორე ნიშანი მართლწინააღმდეგობაა, რაც სახეზეა, თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულებს უნდა განემარტოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების შესახებ.

კანონმდებლობით დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ორკვალიანი სისტემა. ამ სისტემაში პირველია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები. ესენია: აუცილებელი მოგერიება, დამნაშავის შეპყრობა, უკიდურესი აუცილებლობა, მართლზომიერი რისკი. ხოლო სსკ-ის 32-ე მუხლით გათვალისწინებულია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებები. ერთ-ერთი გარემოების დადასტურებისას ჩადენილი ქმედება მართლზომიერია, მიუხედავად დანაშაულის პირველი ნიშნის - ქმედების შემადგენლობის არსებობისა. ამასთან, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ყველა გარემოება გულისხმობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობას.

აუცილებელი მოგერიება მოიცავს როგორც აუცილებელ თვითდაცვას, ასევე აუცილებელ დახმარებას. მისი მართლზომიერების პირობებია: ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, რეალური; იმნუთიერი; სოციალურად მნიშვნელოვანი; დაცვა უნდა განხორციელდეს სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილით და იგი უნდა იყოს აუცილებელი თავდაცვითი მოქმედება. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებაზე და ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც ზღუდავენ აუცილებელი მოგერიების უფლებას. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების პროვოკაცია.

უკიდურესი აუცილებლობა ორი სახისაა: დეფენზიური და აგრესიული. მისი ნიშნებია: უკიდურესი მდგომარეობა; უკიდურესობით გამონეული მოქმედება; უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა. ასევე დადგენილია დამნაშავის შეპყრობის, მართლზომიერი რისკის მართლზომიერების პირობები. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხ-

ველ ზეკანონურ გარემოებებს მიეკუთვნება დაზარალებულის თანხმობა; დაზარალებულის სავარაუდო თანხმობა; მოვალეობათა კოლიზია და სხვა გარემოებები.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოების არარსებობისას სახეზეა დანაშაულის მეორე ნიშანი - მართლწინააღმდეგობა. მაგრამ ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა საკმარისი არ არის ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის. აუცილებელია დანაშაულის მესამე ნიშანი – ბრალი. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულებს უნდა განემარტოს ბრალის გამომრიცხველი გარემოებების შესახებ.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ორკვალიან სისტემაში ბრალის გამომრიცხველი გარემოებებია: ბრალუნარიანობა, ბრალის სპეციალური ნიშნები, სამართლებრივი შეცდომა, მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით, ბრალის გამომრიცხველი საპატიო გარემოებანი. ბრალუნარიანობა გულისხმობს შეურაცხაობას ასაკისა და ფსიქიკური დაავადების გამო. მისატყვევებელი სამართლებრივი შეცდომა ბლანკეტურ დელიქტებში ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა. თუ შეცდომა მისატყვევებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის. სსკ-ის 37-ე მუხლის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას დააზიანა სამართლებრივი სიკეთე. ასეთი ზიანისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც მართლწინააღმდეგო ბრძანება ან განკარგულება გასცა. ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებებია: ტრაგიკული კოლიზია, საპატიებელი, იძულებითი, კვანტიტატიური უკიდურესი აუცილებლობა და სხვა.

ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის დადგენის შემდეგ ნაფიცი მსაჯულები შეძლებენ კონკრეტული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას.

აუცილებელია ნაფიც მსაჯულებს განემარტოთ მტკიცებულებათა შეფასების ძირითადი წესი. სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. მტკიცება გონებრივი პროცესისა და გულისხმობს კუმულაციურად სამ გარემოებას: რელევანტურობას, დასაშვებობას და უტყუარობას. ამასთან, ნაფიცი მსაჯულები აფასებენ მტკიცებულებების მხოლოდ რელევანტურობას და უტყუარობას, ვინაიდან დასაშვებობა სამართლებრივი საკითხია. რელევანტურობა გულისხმობს შინაარს, რაც პირდაპირ ან ირიბად კავშირშია საქმის გარემოებებთან. ხოლო უტყუარობა ნიშნავს შინაარსის ჭეშმარიტებას, თუ რამდენად სანდოა მიღებული ინფორმაცია და შესაძლებელია თუ არა მისი შემონიშნება. განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო მოწმის ჩვენების უტყუარობის გარკვევისას, რაც მთელ რიგ გარემოებებზეა დამოკიდებული. ამასთან, მტკიცებულების უტყუარობაზე საბოლოო დასკვნა მიიღება ყველა წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ. მაშასადამე, ყველა მტკიცებულება ჯერ შეფასდება ცალ-ცალკე, შემდეგ მათი შეფასება მოხდება ერთობლიობაში.

ნაფიც მსაჯულებს განემარტება უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნება, რაც მოცემულია სსსკ-ის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში, რომ პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. შესაბამისად, ნაფიცი მსაჯულები უფლებამოსილებას უნდა ახორციელებდნენ ბრალდებულის უდანაშაულობის რწმენით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის უფლების რეალიზება. ბრალდების მტკიცება მთლიანად გადადის ბრალმდებელზე, ყოველგვარი ეჭვი გადაწყდება ბრალდებულის სასარგებლოდ. აქვე განემარტებათ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. ესაა უმაღლესი მტკიცებულებითი სტანდარტი, რომლის მიხედვით პირის ბრალეულობაში გონივრული ეჭვი არ უნდა არსებობდეს.

სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულებს მისცეს განმარტებები სხვა გარემოებებზეც, რაც მას მნიშვნელოვნად მიაჩნია მოცემულ საქმეზე.

2010 წელს გამოიცა სახელმძღვანელო ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის. მასში მითითებულია სანიმუშო განმარტებები ნაფიცი მსაჯულებისათვის ოთხ გვერდზე და სანიმუშო განმარტებები სათათბირო ოთახში გასვლამდე ორ გვერდზე. (ავტორთა კოლექტივი, 2010)

როგორც ვხედავთ, სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიცი მსაჯულებისთვის მოიცავს დანაშაულთან დაკავშირებით როგორც მატერიალური სამართლის, ასევე საპროცესო სამართლის ფუნდამენტურ საკითხებს. შესაბამისად, ნაფიცი მსაჯულები გაივლიან ურთულეს გზას მსაჯულთა შერჩევიდან ვერდიქტის მიღებამდე. მიუხედავად სირთულეებისა, სხდომის თავმჯდომარის თანმიმდევრული, ადვილად გასაგები განმარტებების საფუძველზე ნაფიც მსაჯულებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ვერდიქტი თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

ტურავა, მერაბ, დანაშაულის მოძღვრება, თბ.2010.

სახელმძღვანელო ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, თბ. 2010.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.